სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/15

ქ. თბილისი 10 მარტი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში სასწავლო პროცესის განხორციელების რეჟიმის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 14 მარტს.
2. 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემეტრში სასწავლო პროცესი 2022 წლის 14 მარტიდან 14 მაისის ჩათვლით განხორციელდეს ჰიბრიდულ რეჟიმში:
   - ლექციები და სემინარები ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში;
   - ლაბორატორიული მეცადინეობები – არადისტანციურ რეჟიმში;
   - პრაქტიკული მეცადინეობები – აკადემიური დეპარტამენტების წინადადებების საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წერილობითი წარდგინებით და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თანხმობით – არადისტანციურ ან დისტანციურ რეჟიმში.

3. სასწავლო მეცადინეობები 2022 წლის 23 მაისიდან 02 ივლისის ჩათვლით ჩატარდეს არადისტანციურ რეჟიმში.
4. სასწავლო პროცესის განხორციელების რეჟიმი აისახოს მეცადინეობების ცხრილში.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე